**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

ფოსის დასაკვეთად და კერძო განცხადებებით ქშელათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 27 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება

**I**

პირველად ახალი პიესა

თავ. დავით ერისთავისა

## საზოგადო საქმე

კომედია 4 მოქ. ჩვენის ცხოვრებიდგან

**II**

არც იქით—არც აქეთ

ვოდევილი 1 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია

---

რადგან 24 იანვარს დანიშნული საზოგადო წლიური კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, ხელ-ახლად დანიშნულია, კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 სექტემბრიდგან 1891 წლისა 1 სექტემბრამდე 1892 წლისა; ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ 1892—93 წლისათვის, და გ, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

---

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს ბანკის დამფუძნებელ წევრთა და მესხებელთა საცნობლად, რომ წესდების 82 მუხლის ძალით, 14 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ბანკის შენობაში, ფრეილინის ქუჩაზედ, დანიშნულია საგანგებო კრება.

საგანი კრებისა:

1) მოხსენება შესახებ იმისა, რომ გადადებულ იქმნა 15 ათასი მანათი კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად.

2) მოხსენება შესახებ იმისა, რომ გადადებულ იქმნას 1000 მანათი ხიზანთა დებულების ხელ-ახლად განხილვის შესახებ თხოვნის შესადგენად, რომელიც უნდა მიერთვას უმაღლეს მთავრობას.

3) მოხსენება შესახებ განმარტებისა და შეცვლისა იმ მინდობილებისა, რომელთაც პელმძღვანელობს ბანკის მმართველობა შესაცვლელად 6% -ან სესხთა 5% -ანად.

---

## ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობას თავისი გამსესხებელი კასსა აქვს, საიდგანაც ძვირფას ნივთეულობის დამგირავებელს ფული ეძლევა სესხად. ამ კასსის ალებ-მიცემობა, როგორცა სჩანს ანგარიშიდგან, შარშანა ყოფილა 493,512 მანეთისა და 23 კაპეიკისა, ე. ი. შარშანწინდელზედ 50,589 მანეთით მომეტებული. შემოსავალი კასსისა ყოფილა 24,877 მანეთი და 50 კაპ. ამ ფულიდგამ 8283 მანეთი და 72 კაპ. კასსის მართვა-გამგეობაზედ დახარჯულა, 3374 მანეთი და 60 კაპ. სარგებელი მიუციათ მთავრობისთვის, 58 მანეთი და 9 კაპ. სხვა-და-სხვა ავეჯის საყიდლად გაუღიათ და წმინდა მოგება წლისა დარჩენია ქალაქს 16,161 მანეთი და 9 კაპ. ძირის ფული კასსას აქვს 80,000 მანეთი, ხოლო სათადარიგო—37,243 მანეთი და 37 კაპეიკი. შემოსავალი კასსისა ბევრით უმეტესი იქნებოდა, რადგან იგი ყველა სხვა გამსესხებელ კასსებზე ერთი სამად შეღავათით აძლევს ფულსა, მაგრამ მისი ალებ-მიცემობა შევიწროებულია, რადგან ქალაქის გამგეობას თავის ფულიდგან ვერა მიუწოდებია-რა უქონლობისა გამო.

*** ქ. ბაქოდგან გვატყობინებენ, რომ 23 იანვარს დანიშნულმა სალამომ დიდძალი ხალხი მიიზიდა და ჩინებულადაც ჩაიარა. შემოსავალი თურმე ოთხას თუმნამდე ჰქონდათ სალამოს გამმართველთ. ბაქოელნი დიდად ნასიამოვნები დაბრუნდნენ თურმე სახლში. როგორც მკითხველმა იცის, ნახევარი ამ შემოსავლისა გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

*** ერთს უცხოელს სავაჭრო ფირმას მიუმართავს ტფილისის ქალაქის გამგეობისთვის შემდეგის თხოვნით: ნება მოგვეცით ელექტრონით გავანათოთ ტფილისში—ერევნის მოედანი, სოლოლაკის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ვერის ხიდი, მიხეილის ქუჩა მუშტაიდამდე, ერთი ნაწილი რიყის ქუჩისა, იარმუკა ქალაქის სახლამდე და თვით ქალაქის სახლიცაო. ამ საქმეს დასჭირდება 141,435 მანათი. ყოველ წლივ ხარჯი იქნება სულ 35,245 მანათი, შემოსავალიკი 73,000 მანათი.

ფირმა შემდეგის პირობით გამართავს ელექტრონით განათებას: ქალაქმა წინადვე უნდა იკისროს საჭირო ფულის $^1/_8$ ნაწილი ე. ი. 17,680 მანათი და, როცა ელექტრონით განათება სრულიად გაიმართება,—20,000 მანათი, დანარჩენი ფული ქალაქმა ნაწილ-ნაწილად უნდა გადიხადოს 5 წლის განმავლობაში.

ეს პირობები ქალაქისთვის უცხოელ ფირმის წარმოამადგენელს ა. ჯავახიშვილს წარუდგენია და ქალაქის საბჭოც მომავალ კრებაზე განიხილავს.

*** ნავთის მწარმოებელთა კრების ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1892 წლის 1 დეკემბრიდგან 1893 წლის 1 იანვრამდე აფშერონის ნახევარ კუნძულზედ ამოუღიათ 25,310,200 ფუთი ნავთი.

*** წარსულ წლის ხოლერობამ ნათლად დაგვიმტკიცა, რა დიდად საჭიროა ჩვენთვის სოფლად სამკურნალო თავ-შესაფარის გამართვა, სადაც შეიძლებოდეს შემწეობა აღმოვუჩინოთ ავადმყოფებს. ხამწუხაროდ, ამ ჟამად ტფილისის გუბერნიის მხოლოდ 4 მაზრაშია სამკურნალო თავ-შესაფარი გამართული, სახელდობრ: გორისა, ბორჩალოსი, სიღნაღისა და ტფილისის მაზრაში. დანარჩენ 5 მაზრაში არც ერთი სამკურნალო თავ-შესაფარი არ არის. იგივე ითქმის კავკასიის სხვა გუბერნიებზედაც. სამკურნალო თავ-შესაფარების გამართვა ფრიად სასარგებლო საქმეა და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვისიც ჯერ არს, ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ და ეცდებიან, რაც შეიძლება, მალე დაარსდეს ჩვენ ქვეყანაში ასეთი სამკურნალოები.

*** გორი: გუშინ, ამ თთვის 21-ს შემდეგი ამბავი მოხდა; მირიანაშვილის აბანოში, რომელიც ერთს მექი-

---

# ფელეტონი

### ცრემლები

როცა ცხოვრების ტალღებთან ბრძოლით
ღონე მიხდილი, დასუსტებული,
ვგდივარ მარტოკა, უამხანაგოდ,
სუყველასაგან დავიწყებული;
როცა ფიქრები, შავი ფიქრები
თავზედ მეხვევა აზვირთებული,
ზიზღით ვიგონებ მთელს ჩემს წარსულსა
და აწმყოთი ვარ გაბრაზებული;
როცა საზარი სევდა სულს მიწყლავს
და გულ-ღვიძლს მიღრღნის გამწვავებული,
რწმენა მესპობა და მომავალსა
შევყურებ იმედს მთლად მოკლებული,—
მაშინ ცრემლები, ცხარე ცრემლები,
ეს ერთად-ერთი ჩემი ერთგული
ამხანაგები მილბობენ წყლულსა,
და ვსტირი, ვსტირი გამწარებული!..
ოჰ, რათ არ ძალმიძს მთლად ცრემლად ვიქცე,
გავხდე მდინარე ალქაფებული
და გადავრეცხო, რაც ქვეყანაზედ
ბოროტებაა დამყარებული!..

დუტუ მეგრელი

დეკემბერი 1891 წელი
ქ. ოდესსა.

---

***

ცას გადაჰკვრია ღრუბელი
დასტირის დედამიწასა,
ქვეყანა შეწუხებულა,
სხივებს ნატრულობს მზისასა;
არც ნათელსა ჰგავს, არცა ბნელს,
არც სიცოცხლეს, არც სიკვდილსა,
თითქოს მოუცავს სამყარო
საშინელს სალათის ძილსა!..
დაე, თუნდ ქარმა დაჰბეროს,
ასტყდეს ჰექა და ქუხილი,
იელოს, მეხი გავარდეს,
შეიქმნეს კვნესა, წუხილი,
წვიმა გადიქცეს სეტყვადა,
მიწამ დაიწყოს ზრიალი,
ზღვა აირიოს, აშფოთდეს,
მორთოს საზარი ღრიალი,—
ოღონდ ნუ სძინავს ბუნებას,
ნუა მკვდარს დამზგავსებული,
ნუ არის ქვეყანაზედა
სიცოცხლე შეჩერებული!..

1891 წ. დუტუ მეგრელი

---

### ფშავური ლექსი

ხარანაულებისა და თათრების ბრძოლა შირაქში.

(თქმული ფუნჩო ხუციშვილისაგან)

— ვერ გაიგევით, ფშავლებო,
წელზედ შაგვეხსნა ხმალია,
მინდვრით მოვიდა ამბავი,
გადმაიარა მთანია!
იოსებ ხარანაულსა
საომარ ეტყვის მხარია,
გიორგის[1]) ეტყვის წავიდეთ,
იორს დავავლნათ თვალია;
ტინკოც[2]) თან წამაიყვანე,
ორნივ წამოდით ძმანია.
სამშაბათ დილით წავიდნენ,
იოსებ წინამძღვარია;
ჩავიდნენ ივრის პირზედა,
აუდგათ ნიავქარია.
ივრისა პირსა მდგარიყვნენ
ურჯულოთ თათრის ჯარია.
იოსებმ უთხრა თათრებსა:
—გეძებდით, მქონდა ჯავრია,
დამპარეთ ჯოგით ცხენები,
შური მაქვს საძებარია.
გიორგი წამოსცილდება,
თათრებმ არ მისცეს ზავია,
თოფი დაღრიჯა ურჯულომ,
იოსებმ დაჰკრა თვალია.
კაც არ მამიკლა, რჯულ ძაღლო,
არ შემირცხვინო გვარია.
უპირდაპირეს ერთურთსა,
თათრებიც კარგი ყმანია!
იოსებმ თოფი აჰექნა,
თათარს დაჰგლიჯნა ყბანია;
დაატრიალა ტყვიამა,
როგორც ბორბლის ფრთას წყალია!
მობრუნებულს იოსებს დაჰკრა,
დასჭრა, მოსტეხნა მხარია.
მეორემ გიორგისა ჰკრა—
დაიძრნა მიწა, ცანია;
მიწას დაეცა გიორგი,
ადგომის არ აქვს ძალია;
ხელ დაბოძება მოუნდა,
ტინკოზედ დარჩა თვალია.
მაშინ სთქვა საწყალ გიორგიმ:
— ჰაი დედა თქვენს, თათრებო,
ცდისა არ მექმნა ხანია,
ველარ ჩავყარე მეორეთ,
ვერ ვათამაშე ხმალია!
ესელაი სთქვა გიორგიმ,
შეეკრა სუნთქვის ძალია.
ძმის მამკვლელს ტინკომ უძახა:
— აცა, ნუ მიგაქვს ვალია,
ძმის მომკვლელს ასრე უნდარის—
დაჰხვია თოფის ალია.
პირქვ წამოიქცა ურჯულო,—
მანძილამ[3]) დასხნა რქანია;
ომია ივრის პირასა,—
სისხლი სწვიმს, წითლად არია;
ტინკო მივარდა ხანჯლითა:
— ჩემს ძმას უზიდენ წყალია;
თუ ღირსი იყვე იმისი,
გაუბანდოდე ჯლანია;
თუ ღირს არ იყვე, რჯულ ძაღლო,
უწმიდე საცხვრის კარია;
ძაღლებს აჭამე სასორი,
მწყემსებს უბრუნე მცხვარია.
მეორ დღეს შობა გათენდა—
გახსნეს სამოთხის კარია;
შიგ მიგაბძანეს გიორგი,
დაგიდგეს ოქროს სკამია,
დაგხურეს ოქროს გვირგვინი,
იქ გადაგწერეს ჯვარია,
დაგინთეს კელაპტარები,
ოქროს შანდნებით არია.
დაჭრილსა ღმერთმა ულხინოს,
შენამც გაცხონოს მკვდარია!
დაჭრილსა, მიცვალებულსა,
ორთავ გეწეროთ ჯვარია!

—

ამა ლექსისა მთქმელისა
სახლი ნაპირას არია,
რომ სთვლიდა, ასრედ სტიროდა,
როგორც ძმა-მოკლულ ქალია.
ამბავი ნაბასებლისა
ტინკო, იოსებ თვალია;
განიყვეს თათარი ხანჯლებს
და ნაძალადევ ხმალია.

---

[1]) გიორგი ბიძაშვილი იყო იოსებისა.
[2]) ტინკო გიორგის ძმა იყო.
[3]) მანძილას ტინკოს ეძახდნენ გულადობის გამო.

სეს აქვს აღებული, საბანებლად მისულა ორი კანდუქტორი. მეაბანოვეს უთქვამს, დღეს ქალებისათვის არის აბანო დანიშნულიო. სტუმრები აურზაურზედ დასდგომიან. მეაბანოვეს ნება არ მიუცია შესვლისა, ერთს სტუმარს წამოუვლია კეტისთვის ხელი, დაუთხლეშია მეაბანოვესთვის და წაუქცევია; გამოშველებია მეაბანოვეს დედა-კაცი, ამისთვისაც დაუკრავს თავში და უსულოდ ძირს დაუშვია. ამბობენ, ორთავენი ძალიან არიან დაშავებულნიო.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ფილოქსერით დაავადებული ვენახები შემდეგ ადგილებში ყოფილა: ქუთაისისა, შორაპნისა და სენაკის მაზრებში, აგრედვე ლეჩხუმის მაზრის სოფ. დერჩში; საეჭვოდ უცვნიათ ვენახები შემდეგ ადგილებში: 1) ქუთაისის გუბერნია—ლეჩხუმის მაზრის დანარჩენი ადგილები, სვანეთის საბოქაულოს გარდა, რაჭისა, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრები და ბათუმისა და სუხუმის ოლქები; 2) გორის მაზრის იმ ადგილებში, რომელთაც საზღვრავს: სამხრეთიგან—ბორჯომის ხეობიდგან მოყოლებული სოფ. გომამდე; აღმოსავლეთიდგან—სოფ. გომიდგან მაზრის დასავლეთის საზღვრამდე; ჩრდილოეთ-დასავლეთიდგან მაზრის დასავლეთ საზღვრამდე.

კავკასიის საფილოქსერო კამიტეტმა გადასწყვიტა: აკრძალულ იქმნას ზემოაღნიშნულ ადგილებიდგდან ვაზისა და ყოველ გვარ მცენარეობის გადატანა სხვა ადგილებში, პურისა და თამბაქოს გარდა („Кавказъ“).

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 25 იანვარი

ქალაქის მოურავმა გაახსენა კრებას, რომ შარშან ზამთარს საბჭომ ასი თუმანი გაიღო ღარიბ მოქალაქეთა დასახმარებლად. წლევანდელ სუსხიან ზამთარშიაც კარგს ინებებდა კრება აღმოუჩინა ღარიბთათვის ასეთივე შემწეობა, რადგან ბევრს შეშა აკლია, ბევრს ტანისამოსი და ლუკმა პურიც-კიო. კრებამ ერთ-ხმად მიიღო წინადადება ქალაქის მოურავისა და, ასის თუმნის გასანაწილებლად ღარიბთა შორის, კომისია ამოარჩია სამის ხმოსნისაგან, რომელთა შორის არიან: ხმ. ზაქრაძე, ბუდდანოვი და შაჰ-აზიზოვი.

შემდეგ თითო-ოროლა წვრილმან საქმეთა განხილვისა, კრება შეუდგა ქალაქის საექიმო ნაწილის საქმეს. როგორც ეხსომებს მკითხველს, ხმოსანმა ა. ზ. ჩოლაყაშვილმა შარშან საბჭოში შეიტანა სარჩიელი იმის შესახებ, რომ ქალაქი მოვალეა იყოლიოს რამდენიმე ექიმი თავის ხარჯით და ამ ექიმებმა უნდა მუქთად უწამლონ ღარიბ ხალხსაო. ეს სარჩიელი მოიწონა საბჭომ და სანიტართა კომისიას მიანდო ამის შესახებ მოხსენების წარმოდგენა. შემდეგ ამ საქმე იარა და საბჭო იქამდე მაიყვანა, რომ ძირეულად უნდა შეცვლილიყო საექიმო ნაწილი ქალაქისა. საბჭომ ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც შეადგენდნენ ხმოსნნი: მალინინი, ნიკოლაძე, შაჰ-პარონიანცი, მ. ი. თამამშოვი და ექიმი ბაბოვი. ამ კომისიამ შეადგინა მთელი ახალი წესდება, რომლის ძალითაც უნდა ამოარჩიონ ერთი უფროსი ექიმი, სასანიტარო-საექიმო ინსპექტორი, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდნენ—ქალაქის სამკურნალო, ქალთა სააკადმყოფო, სადეზინფექციო კამერა, ქალაქის ლაბორატორია და აგრეთვე მთელის მათის უფროსებით. მასვე უნდა ექვემდებარებოდნენ 7 ექიმი საბჭოსი, რომელთა შორისაც უნდა გაყოფილ იქმნას ქალაქი და რომელთაც მუქთად უნდა აღმოუჩინონ დახმარება ქალაქის ღარიბ ხალხსა.

ამ მოხსენების განხილვა, ზოგის ხმოსნის რჩევით, გადადებულ უნდა იქმნას ახალ საბჭომდეო, მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა განიხილოს მოხსენება ეხლავე. ახალი წესდება ძლიერ ვრცელია. მთელი ორი საათი საბჭომ მოანდომა განხილვას პირველის ქვესის მუხლისას. თითქმის ყოველი სიტყვა მოხსენებისა საკამათო შეიქმნა კრებაზედ და ყოველის სიტყვის გატანა დიდის ომის გადახდით გაიტანა კომისიამ. თუ ასეთივე ხასიათი დასჩემდა შემდეგთა მუხლთა გარჩევასაც, ბევრი ხანი დასჭირდება საბჭოს, ვიდრე გაათავებდეს ამ საქმეს. აჩქარება-კი ყოვლად საჭიროა, რადგან ქალაქში ჯერ ეხლაც ათასი გადამდები სენი ტრიალებს და ღარიბი ხალხი მოკლებულია ექიმს, და ახლა, თუ გაზაფხულზედ ხოლერამ კვლავ იჩინა თავი, ხომ უფრო საჭირონი იქნებიან ექიმები.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ზესტაფონი**, 25 იანვარი. ვერც რკინის გზა უსაყვედურებს შარშანდელს წელიწადს. პირველ იანვრიდგან ქრისტეშობისთვის დამლევამდე ფოთს წავიდა (ძაან ცოტა ბათუმს) 12,524 თავღია და თავ-დახურული ვაგონები, მარტო შავის ქვით დატვირთული. ორთაშუა რიცხვით გადაზიდულია რვა მილიონ ნახევარი ფუთი შავი ქვა, რაშიაც რკინის გზას აუღია გადატანის ქირა, ფუთზე სამი კაპეიკი რო ვიანგარიშოთ, 255,000 მანეთი! მგონი რო ცოტა არ არის! აქ არ ვანგარიშობთ სხვა საქონელს. და მიუხედავად ამისა, ჩვენებური რკინის გზა მუშტრისათვის-კი არ არის გაჩენილი, არამედ მუშტარი რკინის გზის ყურმოჭრილი ყმა და მოსამსახურეა. შარშანდელი წელიწადი პირუთვნელი მოწამეა ამისი. ქრისტეშობისთვეს ბაქოში თავმოყრილმა ბამბამ და ზესტაფონში მთებივით დამდგარმა შავმა ქვამ ყველას აშკარად დაანახა, თუ რა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელია ახლანდელი რიცხვი სამუშაო ვაგონებისა. სამ-სამი გემი, შავის ქვის წასაღებად ფოთის ნავთ-სადგურს მომდგარი, გაჩერებულები იყვნენ იმის მიზეზით, რომ აქედგან ქვის გაგზავნა დროზედ ვერა ხერხდებოდა. შავის ქვის მწარმოებელნი, მინისტრიდგან მოყოლებული, ყველას ჰირსა სჭამდნენ—მოხედეთ თქვენს ღმერთს, ვაგონები მოგვეცით და საქონელი თავიდგან მოგვაშორებინეთო. პასუხად-კი იმას იძლეოდნენ, რომ შავი ქვა არ დალპება და ბამბა-კი ბაქოში გაჩერებული, თუ დროზე არ გადმოვიტანეთ, გაფუჭდებაო, ამიტომ... არც იქით და არც აქედ... დაიცადეთ, სანამ რიგი თქვენც გიწევსო. ამ გარემოებამ რკინის გზა აიძულა განკარგულება მოეხდინა და ახალი სამუშაო ვაგონები შეეკვეთნა. ასე რომ, იმედია, შავის ქვის მწარმოებელთ შარშანდელისთანა გაჭირვება თავიდგან ასცდებათ. ესეც-კი, რომ, შარშანდელი ზარალი, უვაგონობის მეოხებით მომხდარი, სამახსოვრად ექმნებათ.

**

ჯერ ისევ წარსულს თთვეშივე ჭიათურის რკინის გზის შტოს გამყვანმა, ინჟინერმა სიმბერგმა, აქაურს შავის-ქვის მწარმოებელთ გამოუცხადა—მარტისათვის რკინის გზა სოფ. რკვიამდე გაყვანილი იქნებაო. მწარმოებლებმა მაშინადვე ბ-ნ სიმბერგს არზა მისცეს და დაავალეს: ეშუამდგომლა გზათა სამინისტროს წინაშე, რათა ამ უკანასკნელს, თუ ვინიცობაა, მარტში რკვიამდე გზა გავიდოდა, ნება დაერთო, ამ ადგილიდგან შორაპნამდე უკვე რკინის გზით ეზიდნათ შავი-ქვა. ამასთანავე სთხოვდნენ, ჭიათურის შტო ოთხის ვერსით კიდევ გაეგრძელებინათ, ე. ი., ჭიათურიდგან სოფ. დარკვეთამდე, ამიტომ რომ, წინააღმდეგს შემთხვევაში, მთელი ეს ოთხის ვერსის მანძილი ცხენით თუ ურმით უნდა ზიდონ ქვა, და ძვირად დაჯდებაო. სულ სხვაა, თუ დარკვეთამდეც გაიყვანეს გზა. მაშინ რკინის გზაც ხეირსა ჰნახავს, მწარმოებელთათვისაც უფრო სარფა იქმნება, და მით უფრო ადვილი იქნება ამერიკის შავს-ქვას ჯიბრი გაუწიონ. თანახმათ ამ საბუთებისა, აქაურებს სრული იმედი აქვთ, რო სამინისტრო ამ სარჩიელს შეიწყნარებს.

რკინის გზის მოლოდინში ქვის ზიდვა მაინც არ შეწყვეტილა, ცოტცოტა მაინც ჩამოაქვთ, თანაც სხვა და სხვა მახლობელ სოფლების საწყობებზედაც ამზადებენ. თუმცა უცხოელი ვაჭრები არც ისე გაშორებით ეტანებიან ქვის ყიდვას, რის გამო შავი-ქვის ფასმა ძაან დაიწია. ალბად იმისი იმედი აქვსთ, სადაც არი, რკინის გზა გაივლის, და ფასები უფრო დაიწევსო.

**

ორიოდე სიტყვა ქართულის წიგნების გამომცემელთა მიმართ. „წიგნების მბეჭდველ ამხანაგობის“ ანგარიშებიდგან, როგორც ყველა დაინახავს, ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის შემდეგ ჩვენში ყველაზე მეტად ქართული წიგნები ზესტაფონს საღდება. მიუხედავად დიდის ფასებისა, ყველაზე მეტი მუშტარი ალ. ყაზბეგის ნაწერებს და „ჩანგს“ გამოუჩნდა. ქართულის წიგნების მუშტარი ერთი-ათად და ერთი-ოცად იმატებდა, რომ იაფ-ფასიანი წიგნები უფრო ბლომად იბეჭდებოდეს. ამ ერთის თვის წინად „ამხანაგობის“ ადგილობრივს აგენტს, ბ-ნ კაკაბაძეს, სხვა ქართულ წიგნებთა შორის, მოუვიდა „ასპინძის ომი“ იაკ. გოგებაშვილისა და „მეველე“ სოფრონ მგალობლიშვილისა. ერთს დღეს მატარებლის მოსვლამდე ათის წუთით წინად რკინის გზის სადგურზე ათ-ათი ცალი გაიყიდა ზემო-დასახელებულ წიგნებისა. მეორე დღეს, როცა „ასპინძის ომის“ შინაარსი გაიგეს, ყველა იმასა ჰკითხულობდა: „ერეკლე მეტი არ არისო?“ წიგნის ინტერესს ბევრსა ჰშველოდა, გარდა შინაარსისა და ყველასათვის ხელ-მისაწდომ ფასისა, შიგ ჩართული მეფე ერეკლეს სახე.—ამ გვარად, როცა მდაბიო ხალხმაც წიგნის კითხვის გემო გაიღო, როცა ქართულმა წიგნმა ცოტად თუ ბევრად ბაზარი მოიპოვა, იმედია, ზემოდ დასახელებულ წიგნაკების მსგავსი—სურათებიანი, იაფ-ფასიანი, ჩვენის ხალხის ცხოვრებიდგან დაწერილი წიგნაკები არამც თუ საზარალო არ იქმნება გამომცემელთათვის, არამედ ცოტაოდენი შრომის ფასსაც მისცემს. ესეც რომ არ იყვეს, რა-კი ვხედავთ წყურვილს, მოვალენი ვართ, ეს წყურვილი, რამდენადაც-კი შეიძლება, ხალხს მოვუკლათ, და ამ სახით, პატარიდგან დავიწყოთ, და იმედია, უფრო დიდზე, უფრო თვალ-საჩინოზე გადასვლაც არ გაგვიჭირდება.

**

არ შეგვიძლია სიხარულით არ მივეგებოთ მთავრობის განკარგულებას შესახებ ფულის შემნახველ კასის დაარსებისა დაბა ზესტაფონში. ამ თთვის პირველიდგან კასამ უკვე მოქმედება დაიწყო. თუმცა ჯერ-ჯერობით ხალხი იმდენად არ ეტანება, მაგრამ, იმედია, ჩქარა დარწმუნდებიან რომ ამისთანა დაწესებულება დიდად სასარგებლოა, და, ვინ იცის, ეგებ დუქნის მაგიერ, უკანასკნელი გროშები შესანახად „შავის-დღისთვის“ კასისაკენ გაარბენინონ. ნეტავი არ იქმნება!..

თ. ს.

**დ. ზუგდიდი**, 17 იანვარს. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „ღვინის ქურდი თხლეზედ დაიჭირესო“. სწორედ ასეთი ამბავი მოუვიდა ყაჩაღს დიტო ხვიტიას, რომელიც, აგერ ხუთი წელიწადია, სხვის ავლა-დიდებით იკვებება. 14 იანვარს ჭკადუაშის გზაზედ დიტო ხვიტია დაეცა თავს უკან დაბრუნებულს „ტროიკას“ და ორი ცხენი წაართვა მეეტლეს. არც საწყალი მეეტლე დაუტოვებია უყურადღებოდ. მისმა მახვილმა გონებამ მაშინადვე იაზრა, რომ ამ საწყალ კაცსაც ექნება ორიოდე გროში, ძონძში გახვეულიო, და მოსთხოვა მუქარით ფული. მეეტლემ ცრემლიანის თვალით მისცა უკანასკნელი თვისი სიმდიდრე, მანეთ-ნახევარი. მეორე დღეს აცნობეს ეს ამბავი ბოქაულს ბ-ნ დგებუაძეს, რომელიც მაშინადვე მიიჭრა პოლიციის მოხელე პავლე ანთალავა-თურთ იმ ადგილას და გასაქცევი გზა ავაზაკს შეუკრეს. რამდენისამე საათის შემდეგ აცნობეს ბოქაულს, რომ ცხენები დაჰყარა ავაზაკმაო. ცხენის დასაჭერად ბოქაულმა კაცი აფრინა და თვით ყაზახის რუსებით მიჰყვა ცხენის კვალს იმ მხარეს, საიდგანაც მორბოდნენ. კვალმა მიიყვანა გლეხ გოგიას სახლში და მერე ღელეში.

რადგანაც ღამდებოდა და კვალის დაკარგვისა ეშინოდა, ბოქაულმა შეუხვია გოგიას სახლში და უბრძანა, გამიძეხ წინაო. გოგიამ ყოყმანი დაიწყო და შემდეგ წაჰყვა. მოაცილდნენ თუ არა გოგიას სახლს, ვიღაცა გამოხტა უკანა კარებიდგან და ქვევით ღელმართისკენ დაეშვა. ბოქაულმა თვალი შეასწრო და დაუყვირა, გაჩერდიო! მაგრამ უცნობმა გადიძრო ნაბადი, მოიგდო ხელში „ბერდანკა“ და არხეინად გზას გაუდგა. მდევრები დაედევნენ. ცოტა ხანს შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ მომეწევიანო, უცნობი მიიმალა თხრილში და იქიდგან დაიწყო სროლა. ჩვენებმაც დაუწყეს სროლა, და შეიქნა თოფის გრიალი. ერთის საათის სროლის შემდეგ ხვიტია დაკოდილი და გაბაწრული ზუგდიდს ჩამოაბრძანეს.—მეორე დღესვე ამავე ბოქაულს აცნობეს, რომ გამოჩენილ მაცი ფიფიას ამხანაგი, კვარაცხელია, იმალება სოფ. კორცხელშიო. მან ფიცხლავ ბრძანება გასცა და ეს გმირიც გაბაწრული მოიყვანეს. ამ ორის მგლისაგან დროებით მაინც გადავრჩით, მაგრამ მელაკუდები-კი თავისას არ იშლიან და სამყოფს ზარალს მაინც მოგვცემენ. „ლუკმამა სთქვა: სულ ერთია დიდი პირი შემჭამს, თუ პატარაო“.

მიხა

**გორი**, 10 იანვარი. ჩვენს პაწია ქალაქს, ცოტა არ იყოს, სხვა ფერი მისცა მეორე „დრუჟინის“ აქ დაბინავებამ. ხალხი მოემატა, ვაჭრობა გაცხოველდა, შექცევა და გართობა არ აკლიათ მცხოვრებთა. მეორე „დრუჟინის“ აფიცრობა ძალიან გულკეთილი, საქმის მოყვარული გამოდგა. მუდამ თთვე ჰმართავენ წარმოდგენას რომელისამე კეთილის საქმისათვის; რადგანაც მარტო რუსულ წარმოდგენაზედ ყველანი არ წავლენ და ქართულზედაც აგრედვე რუსები არ ივლიან, ამიტომ სცენის მოყვარულნი რუსნი და ქართველნი შეერთდნენ და ჰმართავენ რუსულ-ქართულს წარმოდგენებს. ერთი ამისთანა წარმოდგენა უკვე იყო ამ იანვრის 12-ში; მეორესაც ეპირებიან მომავალს კვირაში და, როგორც ამბობენ, ერთს წარმოდგენას ყველიერშიაც გამართავენო. სცენა სამუდამოდ გამართეს სამხედრო „სობრანიის“ დარბაზში; დიდი მადლობის ღირსია უფროსი დრუჟინისა ბ-ნი შკაბიჩი, რომელმაც ხელი მოუმართა ამ საქმესა და რომელიც სულით და გულით მონდომილია მკვიდრს ნიადაგზედ დასდგეს სცენის საქმე.

ახალის არჩევანების ციებ-ცხელება გორშიაც გაჩნდა; ეხლავეა მითქმა-მოთქმა. რასაკვირველია, დროზედ სჯობია ფიქრი იმისთანა საჭირო საქმეზედ, როგორიც არის ქალაქის მოურავის არჩევა. ჩვენს ქალაქს ეჭირვება დიდი გულ-შემატკივარი კაცი, რომელიც მარტო კანცელარიაში-კი არ მუშაობდეს, არამედ ხშირად ეჩვენებოდეს ხალხს, ქალაქის სისუფთავესა და გაშვენებაზედ ჰფიქრობდეს. ამისთანა კაცი ამოიყვანს ამოდენა ხარჯებიდამ ქალაქს და ცოტაოდნავ წინ წასწევს მის დახლართულს საქმეებს: ეხლა ჩვენი საქმე ველარ მიდის კარგად. აგერ თითქმის სამი თთვეა, რაც ქალაქის მოურავი ავად იმყოფება. საქმეებს მისი მოადგილე ჰმართავს, მართალია, მაგრამ მესამე თთვეა, რაც საბჭოს კრება არა ჰქონია. დავიჯეროთ, რომ არავითარიმე საჭირო საქმე არ იყო ამ ხნის განმავლობაში ქალაქის გამგეობის კანცელარიაში? მაგრამ რად უნდათ საბჭოს კრება, განა უიმისოდ არ შეიძლება საქმეების გაკეთება! თუმცა ამბობენ, რომ ერთი ჭკუა კარგია, ორი-კი უმჯობესიაო, მაგრამ თუ ერთი ჭკუა ისეთი მძლავრია, რომ ორს სჯობიან, სჭარბობს, მაშინ რაღა საჭიროა სხვა-და-სხვა ჭკუების შეკრება. სწორედ ამ მიზეზის ბრალია საბჭოს შეუკრებლობა.

როგორც გამგეობის კასსაა ცარიელი, ისე ჩვენი ბაზარი; დიდმა თოვლმა და ზედ მოყოლებულმა მკაცრმა ყინვებმა შეაყენა სოფლიდამ სანოვაგის შემოტანა. მართლაც და, გასაოცარი ყინვებია, ბევრით გადააჭარბა 1888—წლის ყინვებსა. წყლები სულ

ყინ ულით გადაიფაცრა, ეშინიათ, ვაი თუ ყინვებმა აზარალოს ხე-ხილი და ვაზიო. როგორც ამბობენ, იმ ადგილებში, სადაც ზამთრობით ვაზს არა მარხვენ, ყინვამ კიდევაც უკბინა ვაზსაო. ბევრი იმედოვნებს, რომ დიდმა ყინვებმა იქნება ხოლერა ამოაგდოსო, მაგრამ ის ვერ შეუგნიათ, რომ ხოლერის ამომგდები და მომკვლელი ყინვა კი არა, სისუფთავეა და ამ მხრივ-კი ჩვენ უზრუნველობას მივეცით თავი.

## სასამართლოს მატიანე.

განსამართლება სომხის მღვდლის ტერ-კონსტანტინე არარატიანცისა და დურგლის მნაცაკან მელიქოვისა 23-ს იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს მიერ.

(შემდეგი *)

პროკურორის სიტყვა. შარშან წყალკურთხევა დღეს საშინელი უბედურობა დატრიალდა: ვანქის სობოროდგან იორდანესკენ ტკვრის ტოტზედ გადებული ხიდი ჩატყდა და ას-ორმოც-და-ათი კაცი ჩავარდა, რომელთაგან ოც-და-ცამეტი იქვე დაიღუპა; აქედ-იქითგან რო მშველელნი არ გაჩენილიყვნენ, სხვაც ბევრი დაიღუპებოდა.

მიზეზი ამ უბედურობისა კარგად გამოირკვა. ხიდი მეტის მეტად უხეიროდ იყო გაკეთებული. ეს დამტკიცდა, როგორც მასალისა და ხიდის ნანგრევის შემოწმებით, ისე ექსპერტების მიერ განმარტებით. წყლის მოვარდნა აქ რა შუაშია. ხიდი უიმისოდაც უნდა ჩატეხილიყო, რადგანაც ყველა მისი ნაწილი გულ-დადებით-კი არ იყო ნაკეთები, არამედ მოსაჩვენებლად მიფაფრებული. აქ დაუდევრობას ადგილი არა აქვს. ყველაფერი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ მკეთებელს ბოროტი განზრახვა ჰქონდა, უნდოდა იაფად დაესვა და მასალაც ლურსმის დაკვრით არ გაეფუჭებინა, რომ ისევ თავის ფასად გაყიდულიყო. ძველი და დაზიანებული მასალა უხმარნიათ, კოჭები ერთმანეთზედ არ იყო გადამბული, რკინის არტახები არ დაუქდევიათ, როგორც ექსპერტების სიტყვით, საჭირო იყო, რომ ამოღება უფრო ადვილი ყოფილიყო და კოჭებს არა ვნებოდათ-რა. ბოძები ანუ ფეხები, რომლებზედაც ხიდი იდგა, არ იყო მაგარ ნიადაგამდე ჩარჭობილი, რადგანაც მეტი მუშაობა მოუნდებოდა. ფიცარიც-კი არ იყო დალურსმული, მთელი ხიდი სულ ფამფალებდა. არც ის ითქმის, რომ დიდი ხალხი მიაწყდა და ხიდმა მეტად დიდს სიმძიმეს ვერ უძლო. 18 კვადრ. საჟენზედ 150 კაცი შემდგარა, ეს დიდ სიმძიმედ არ ჩაითვლება; ხიდი რო ცოტა რიგიანად ყოფილიყო გაკეთებული, ბევრით ამაზედ მეტს სიმძიმეს გაუძლებდა. მაინც-და-მაინც გამკეთებელთ კარგად იცოდნენ, რისთვისაც კეთდებოდა ეს ხიდი და შეეძლოთ ვარაუდი გაეწიათ. ამის ვარაუდი უბრალო კაცსაც შეუძლიან, ხუროთ-მოძღვარიც რომ არ იყოს.

ვიდრე ბრალდებულთ გამტყუნებას დავიწყებდე, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიო ყველა ის, ვისაც ასე თუ ისე, წილი უნდა ჰქონდეს ბრალდებულთა დანაშაულობაში. საოცარია, დაუჯერებელია, რომ ამოდენა ქალაქში ყოვლად-უვარგისი ხიდი კეთდებოდეს და მეთვალ-ყურე-კი არავინ აღმოჩენილიყოს. არ შეიძლება აქ არ დავასახელოთ ქალაქის გამგეობა, პოლიცია და კანსისტორიაც. ვერ დავიჯერებ, თუ ამათ არ იცოდნენ, რომ ხიდი კეთდებოდა, ხიდი დიდ-ძალ ხალხისათვის, და ყური კი არავინ შეიბერტყა, არავინ იფიქრა, თუ ერთხელ მაინც მივიდე, ან ერთი მოხელეთაგანი მაინც გავგზავნო, რომ ნახოს, რა კეთდებაო. სამთავე დაწესებულებამ თავისი პირდაპირი მოვალეობა არ აღასრულეს, და ეს არის მიზეზი საშინელის უბედურებისა; დამნაშავეა მეტადრე წევრი გამგეობისა იზმაილოვი, რომელსაც ექვემდებარებიან ხუროთ-მოძღვარნი გამგეობისა. მაგრამ, სამწუხაროდ ეს დანაშაულობა უფრო ზნეობრივია, არა იურიდიული; არ შეგვიძლიან რომელსამე ამ დაწესებულებათა მოხელეს ხელი დავადოთ და სასამართლოს წინაშე დავაყენოთ, აი, შენა ხარ კანონის წინაშე მოპასუხე, შენ უნდა დასჯილ იქმნაო.

მღვდლის არარატიანცის და დურგლის მელიქოვის შესახებ-კი შეგვიძლიან სულ სხვა ნაირი აზრი ვიქონიოთ და პირდაპირ დიმნაშავედ ვიცნოთ. მაგათ გააკეთეს ხიდი, მღვდელმა—როგორც იჯარადარმა და მელიქოვმა—როგორც მისმა ამხანაგმა და უმთავრესმა საქმის მწარმოებელმა, ოსტატმა და სხვა მომუშავეთა ხელმძღვანელმა. თუმცა პირობის ქაღალდი არ იყო მღვდლის სახელზედ დაწერილი, მაგრამ გამოძიებამ და მოწამეთა ჩვენებამ ნათლად გამოარკვია, რომ ის იყო ერთად-ერთი იჯარადარი და მოპასუხე კანსისტარიის წინაშე. თუმცა აქ დეკანოზმა ხარაზიანმა სთქვა, რომ არ ვიცოდი, თუ ტერ-გუკასოვი, რომელმაც პირობის ქაღალდს ხელი მოაწერა, მღვდლის არარატიანცის მოგზავნილი იყოვო, მაგრამ მე ძალიან ეჭვი მაქვს, რომ ეს მართალი იყოს. კანსისტორიას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ტერ-გუკასოვი მღვდლის ხელ-ქვეითი იყო, იმის დიაკვანი, და იმის სურვილს ვერ უარ-ჰყოფდა; არ შეიძლება არ სცოდნოდა კონსისტორიას, ვინც ნამდვ[ი]ლი ხიდის მკეთებელი იყო. კანსისტორიაში დასცინოდნენ თურმე ტერ-გუკასოვს, შენი ბატონი ეხლა შენ ხელ-ქვეითი არისო. მხოლოდ იმიტომ რომ ტერ-გუკასოვს ქაღალდს ხელი მოაწერინეს, ჩვენ საბუთი არა გვაქვს ის სამირთალში მივცეთ. იმის ადგილი უნდა დაიჭიროს ნამდვილმა იჯარადარმა—მღვდელმა არარატიანცმა, რომელიც უნდა დასჯილ იქმნას 1060 და 1466 მუხლის სისხლის-სამართლის კანონთა ძალით, რადგანაც იმან თავის სარგებლობისათვის, მეტი მოგება დამრჩესო, ხიდი ცუდად გააკეთებინა. ბრალდებული მელიქოვი-კი უნდა დაისაჯოს თანახმად 1466 იმავ კანონისა.

ვითხოვ მაგათ დასჯას იმ უბედურთა სახელით, რომელნიც, ბრალდებულთა ბოროტ-მოქმედების მაშო, დარჩნენ ქვრივ-ოხრად, ობლად და დაჰკარგეს უკანასკნელი წყარო ცხოვრებისა, საღსარი ლუკმა პურის შოვნისა.

(დასასრული ხვალ)

*) იხ. „ივერია“ № 18.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** 14 (26) იანვარს საფრანგეთის პალატამ განიხილა საქმე საიდუმლო ფონდისა. კამათობა ასტეხა უმწვერვალესმა ბულანჟელმა შიშემ.

შიშე. მე ვითხოვ, რომ გაუქმებულ იყოს საიდუმლო ფონდები, რომელიც ამ ჟამად სრულიად საჭირო აღარ არის. ყველამ კარგად იცის, რომ ის 1,600,000 ფრანკი ანარქისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად არ იხარჯება, წინააღმდეგ შემთხვევაში ანარქისტები ისე შეუპოვრად არ მოიქცეოდნენ და ყუმბარებს თვით პოლიციის რეფექტურაში არ ააფეთქებენ. ეს ფული არ იხარჯება აგრეთვე ინგლისისა და გერმანიის ჯაშუშების ასალაგმავად, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აშკარად ვერ დაქრთამავდნენ მათ, ვისი დახმარებაც ეჭირვებათ. საქმე ისაა, რომ საიდუმლო ფონდები საჭიროა თვით მინისტრის უზრუნველ-ყოფისათვის. შარშან ფრეისინემ სთქვა, რომ შეუძლებელია ვინმეს ანგარიში მოითხოვოს, რაში იხარჯება საიდუმლო ფონდის ფულიო. აშკარაა, სჯობს ეგ საიდუმლო ფონდი სრულიად გავაუქმოთ.

მინისტრ-პრეზიდენტი რიბო. საიდუმლო ფონდი ჩვენთვის ძლიერ საჭიროა, ამას აშკარად ვაღიარებ. ეხლანდელი მთავრობა მაშინ შეუდგა ქვეყნის მართვას, როცა ძლიერ ბევრი დაბრკოლება გვქონდა, მაგრამ ჩვენ მაინც მედგრადა და მხნედ შევუდექით საქმეს და ამიტომ საჭიროა ხელი შეგვიწყოთ ფულითაც. რესპუბლიკას არავითარი განსაცდელი არ მოელის, თუ მთავრობა ისე მხნედ მოიქცევა, როგორც აქამდე იქცეოდა და ყურს არ ათხოვებს გაიძვერა აგიტატორებს, რომელნიც რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედობენ.

(რესპუბლიკელთა შორის ხანგრძლივი ტაშის ცემა, მარჯვნივ—ჩოჩქოლი).

პრუვო-დე-ლონე ამბობს, მემარჯვენეთა დასი რომ არ ყოფილიყო, მთავრობა ყურსაც არ გაიბერტყავდა პანამის საქმეშიო.

რიბო. ჩვენ მუდამ ვსცდილობდით პანამის საქმე გამოგვეაშკარავებინა, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ რესპუბლიკის წინააღმდეგნი თავის აზრს არა ჰფარავდნენ და დიდის გულ-წრფელობით აღიარეს, პანამის საქმეს არ ვიკმარებთ და ვეცდებით სხვაფრივაც ბრძოლა გავუწიოთ მთავრობასა და ახალ არჩევანებამდე იარაღს არ დავყრითო. ბატონებო, თქვენ თითონ დარწმუნდით, რომ მათ არავინ დაინდეს და თვით პრეზიდენტს რესპუბლიკისას არ ასცდა ცილის წამება. საბედნიეროდ, ქვეყანა მშვიდობიანად არის და სწორედ ამიტომ საჭიროდ ვიცანით აგველაგმა რესპუბლიკის წინააღმდეგთა თავგასულობა. მაგრამ განა შესაძლოა, სრული თავისუფლება მივანიჭოთ ამ მტრებს რესპუბლიკისას? განა შესაძლოა პალატამ უარი უთხრას მთავრობას იმ ფონდზედ, რომელიც აქამდე მუდამ ეძლეოდა? როგორ! ჩვენ ქვეყანაში არსდება რესპუბლიკის წინააღმდეგი საზოგადოება, ამ საზოგადოებას ხელთა აქვს დიდ-ძალი ფული და საიდუმლო ფონდები! (მემარჯვენეთა შორის დიდი ჩოჩქოლია). ჩვენ, რასაკვირველია თვალს ვადევნებთ მათ მოქმედებას, ჩვენ ვიცით, საიდგან შოულობენ ისინი დიდ-ძალ ფულსა, ჩვენ, რასაკვირველია, უარს არ ვიტყვით, რომ თავისუფალ ქვეყანაში ყველას შეუძლიან საპოლიტიკო საქმეებისათვის ფული შეჰკრიბოს, მაგრამ ყველა ეს კანონიერად უნდა ხდებოდეს, და თქვენ-კი მხოლოდ მთავრობას ეუბნებით უარსა, ქვეყნის დაცვისათვის საჭირო ფულს არ მოგცემთო. ეს ხომ შეუძლებელია! (ხანგრძლივი ტაშის ცემა, მარჯვნივ ჩოჩქოლი, პრუვო-დე-ლონე ჰყვირის: „მაშ თქვენ მეგობრებს მიჰმართეთ და არა ხარჯის გამღებთ!“) იქნება საიდუმლო ფონდებს რიგიანად არა ხმარობდნენ, ჩვენ აღთქმასა ვსდებთ, რომ ეს ფული რესპუბლიკას მოხმარდება. ვიტყვი გულ-ახდილად: საიდუმლო ფონდის გაღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ერი სრულ ნდობას გამოუცხადებს მთავრობას. შესაძლებელი რომ იყოს, უპირველეს ყოველთა თვით მე მოვითხოვდი, მთავრობას ანგარიში მოვთხოვოთ საიდუმლო ფონდის დახარჯვაში, მაგრამ ეს შეუძლებელია. ამ საქმეში არავითარ კანტროლს არა აქვს ადგილი, გარდა სრულის ნდობისა მთავრობისადმი. აი, სწორედ ამიტომა გთხოვთ, უარი არ უთხრათ მთავრობას საიდუმლო ფონდის გაღებაში, იმ ფონდისა, რომელზედაც აქამდინ ჯერ აური არ გითქვამთ მთავრობისთვის. იმედი მაქვს, რომ პალატა არც ეხლა იტყვის უარს (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

სიტყვა დაიწყო პრუვო-დე-ლონემ. პალატაში ისეთი ხმაურობაა, რომ ლონეს ლაპარაკი არ ისმის. ლონემ დაახლოვებით სთქვა შემდეგი: ჩვენ მხოლოდ დამნაშავეთა დასჯა გვსურს, ჩვენ წინად არ ვიცოდით, რომ საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა 1 მილიონი ქრთამი ითხოვა. ხვალ შეიძლება სხვა ბოროტ-მოქმედება აღმოჩნეს, და თქვენ-კი გვეუბნებით: დაჩუმდით, ხმას ნუ იღებთო!.. (პალატაში დიდი ხმაურობა ასტყდა, პრუვო-დე-ლონეს სიტყვა გააწყვეტინეს).

დეშანელი. ვთხოვ იმ კაცს, რომელმაც დელაგეს გადსცა პარლამენტის დაქრთამულ წევრთა სია, ეს სია საქვეყნოდ გამოაცხადოს. დელაგე ამბობს, პატიოსანი სიტყვა მივეცი იმ კაცს, სიას არ გამოვაქვეყნებო, მაგრამ თვით პატიოსნება მოითხოვს იმ კაცმა ნება მისცეს დელაგეს დაქრთამულ დეპუტატთა სახელების გამოქვეყნებისა.

დელაგე სიტყვას იწყობს. მარტო ტრიბუნაზედ ამ კაცის დანახვამ, რომელმაც ასტეხა გაუთავებელი საქმე პანამისა, საშინლად ააღელვა პალატის უმრავლესობა. ასტყდა საშინელი ხმაურობა, სტვენა, სკამის ბრახუნი, გაისმა ყეფა, კნავილი და სხვ. დელაგე ლაპარაკს იწყობს, სიტყვას აწყვეტინებენ ყვირილით: „სახელები, სახელები, სია, სია მოგვეცით!“ დელაგე შეკრთა, ფერი მისდის. ცოტა ხანს შემდეგ ცოტად სიჩუმე ჩამოვარდა.

დელაგე. ამ საქმეში ჩირქი მხოლოდ მთავრობას ეცხება, რომელმაც ოთხის წლის განმავლობაში ყური მოიყრუა და პანამის საქმე არ გამოაშკარავა. ბრალი ედება აგრეთვე მაგისტრატურას, რომელმაც თავისი მოვალეობა არ შეასრულა. მე-კი არ უნდა გამოვაქვეყნო დაქრთამულ დეპუტატთა სახელები, არამედ მაგისტრატურამ, რომელმაც შესაფერი ძალ-ღონე არ მოიხმარა, როცა ხელთა ჰყავდა არტონი, რეინაკი და სხვები. მე რომ დაქრთამული დეპუტატები დავასახელო, იმ წამსვე მომახლიან: „ტყუილია, ცილის-წამებააო“! მე აშკარად გეუბნებით, რომ 104-მა დეპუტატმა ქრთამი აიღეს. იუსტიციის მინისტრის მოვალეობაა ეს დამნაშავენი აღმოაჩინოს.

(ხმაურობა ისევ ასტყდა. პალატის უმრავლესობა ძლიერ აღელვებულია. დელაგეს ყველა მხრიდგან უყვირიან: „ჩუმად! გეყოფაო“).

მინისტრი იუსტიციისა. დიდადა ვსწუხვარ, რომ ისეთი კანონი არ არსებობს, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს დელაგეს დასჯა ამ გვარ საქციელისათვის. დელაგე უსაბუთოდ ბრალსა სდებს დეპუტატებს.

რამელი ამბობს: დელაგე მაშინ დაასახელებს დამნაშავეთ, როცა მოისურვებს.

მინისტრ-პრეზიდენტმა დასძინა: „მაგ გვარი საქციელი ფრანგს არ შეჰფერისო.. შეუძლებელია ერთთავად რაღაც სიაზე ლაპარაკი და უსაბუთო გადაკვრა დანაშაულზედ და, როცა ამ დანაშაულის გამოაშკარავებას გთხოვთ, პასუხად გვაძლევთ: „მაშინ ვიტყვით, როცა ჩვენი ქეიფი იქნებაო“.

დასასრულ, რიბომა სთქვა: როგორც პალატისა, ისე ჩემი სურვილიც ის არის, რომ პანამის საქმე სრულიად გამოაშკარავდეს, და არავის არა აქვს უფლება ეჭვი რამ შემოიტანოს ჩვენზედ, ამიტომ უკანასკნელად გთხოვთ, საიდუმლო ფონდის საქმე გადასწყვიტოთო.

კამათობა გათავდა და კენჭი ჩამოატარეს. მთავრობამ გაიმარჯვა. პალატამ საიდუმლო ფონდი დაამტკიცა 297 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 175-ისა.

# წვრილი ამბავი

მარტოს განუზრახავს ველოსიპედით შემოიაროს მთელი ქვეყანა. მარტოსა პეტერბურგიდგან გაემგზავრება, გაივლის მთელს ციმბირს ვლადივოსტოკამდე, იქიდგან გემით ამერიკაში გადავა და ჩიკაგოს გამოფენაზედ მივა.

— პარიჟში არის საზოგადოება, რომელიც ქალთა შრომას ხელს-უწყობს და იმათ ნივთიერ გაუმჯობესობისათვის ზრუნავს. ამ საზოგადოებას გადუწყვეტია პრემიები მისცეს იმ ქალებს, რომლებიც ავთიაქებში იმსახურებენ. ამ საზოგადოების აზრით, ავთიაქში სამსახური ერთი საუკეთესო ხელობათაგანია, რომელიც ხელს არ უშლის ქალების პირდაპირ დანიშნულებას. რადგანაც შეიძლება ქალმა ავთიაქშიაც იმუშაოს და იმავე დროს შვილებიც აღზარდოს და ოჯახსაც მოუაროს.

— წარსულს წელს 134 ისლანდიელი მეთევზე დაღუპულა ზღვაში. თითქმის ყოველ წლივ იღუპება თუ ამდენი. ამას მიზეზი ის არისო, რომ ისლანდიის სათევზაო გემები თებერვალში შეუდგებიან ხოლმე საქმეს, როდესაც ზღვაზედ დიდი ქარ-ტეხილი იცის.

— იტალიის პროფესორი Sirena ამბობს, რომ ხარის ყვავილით დახოცილი საქონელი უსათუოდ უნდა დაიწვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სო, რადგანაც აკადმყოფობის ბაქტერიები ძრიელ მალე მრავლდებიან. როცა ავადმყოფ საქონლის ხორცს დაუწვავად გადააგდებენ, ეს ბაქტერიები დაიბუდებენ იმ ალაგას, გამრავლდებიან და მთელს მიდამოს მოედებიანო. ამ გვარად შეიძლება წყალში ან საძოვრებზედ გაჩნდეს ბაქტერიები და აქედგან საქონელსაც გადაედოსო.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მიბოძოთ გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო ანგარიში იმ წარმოდგენისა, რომელიც იყო გამართული 12 ამ თვეს ქ. ბათუმში ლუი გოდფრუას ცირკში, ვარშავის საიმპერატორო უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტის მიქაბერიძის სასარგებლოდ: ყოველ ხარჯის გამოკლებით დარჩა სტუდენტის სასარგებლოდ 208 მ. 60 კაპ., რომელიც წარვუდგინე აქაურს პოლიციის მმართველობას გასაგზავნად სტუდენტისათვის ქ. ვარშავას.

ამასთან გულითადს მადლობას ვუძღვნი იმათ, რომლებმაც დიდი შრომა მიიღეს წარმოდგენის გამართვის საქმეში: განსაკუთრებით უფროს თანაშემწეს ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველისას, ი. ს. ლიუბოჲავის, ი. მ. ბოჩკოვს, გ. ი. ჩხიკვაძეს, თ. გ. ლ. ფვალავას, გ. ს. თოფურიძეს, ი. ბ. საბახტარიშვილს, გ. ს. ასათიანს, ს. ი. თიროევს, ა. გ. სკორიკოვს. ორორი მანეთი ფული გამოიღეს ი. მ. საპეშკომ და გ. ნ. შადინოვმა, რომელთაც აგრეთვე მადლობას მოვახსენებ.

წარმოდგენის გამგე პავლე ჩარექოვი.
ბათუმი.

# დეპეშა

25 იანვარი

**მოსკოვი.** სამანუფაქტურო საქონლის ვაჭრობის საქმე მკვიდრად არის; ფასი ემატება: ამერიკისა და ეგვიპტის ბამბა აგვისტოს თთვესთან შედარებით 2 მან. და 70 კაპეიკით გაძვირდა; ნართი—3 მანათით ფუთზე, მიტკლის ფასმა $6^3/_8$ მანათიდგან $8^1/_4$ მანათამდე აიწია. იმედი აქვთ, ყველა ამ საქონელს ფასი კიდევ მოემატებაო.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა კანონდებულებანი: 1) დადგენილებანი სახელმწიფო საბჭოსი 14 მაისს 1890 წელს, 21 მაისს 1891 წელს და 10 ივნისს 1892 წელს, შესახებ შაქრის აქციზის შემოღებისა და ამ აქციზის აღების წესისა, გაუქმებულ იქმნას 1894 წლის 1 სექტემბრიდგან, ხოლო ამ დღიდგან: ფუთს შაქარს 1 მ. 75 კ. დაედოს. შაქრის ქარხნები პატენტის ფულს იხდიან ათას ფუთს შემუშავებულ შაქარზე 5 მანეთს. ამას გარდა შაქრის ქარხნები იხდიან პატენტის ფულს წინდაწინვე საქმის დაწყებამდე 250 მან. შემუშავების დროს და ყოველ 50 ათას ფუთზედ შემუშავებულ მასალისა, რომელიცკი ქარხანაში მივა, და შემდეგ 5 მ. ყოველ ათას ფუთზედ, რომელიც იქმნება შემუშავებული ® გასასყიდად გამოტანილი ქარხნიდამ. ის ქარხნები, რომელსაც თავისი ქარხალი მოჰყავს და მერე ამ ჭარხლით შაქარს აკეთებს, სხვა ანგარიშით იხდიან აქციზს. 2) ფინანსთა მინისტრმა მიიღო უმაღლესი ნება-რთვა დროებით, 1 წლის ვადით, ახალის კანონის შემოღებისა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბანკსა და მის განყოფილებათ შეუძლიანთ ვალის გაცემა ვექსილების თავდებობით, ბანკის მმართველობის განუხილველად, ხოლო ვალი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის მმართველობისაგან დაწესებულს რაოდენობას. ვალი გაიცემა ვექსილით იმ შემთხვევაში, როცა საეჭვო არა არის-რა და ბანკის გამგებლის და ერთის დირექტორის მიერ ნება-დართულია სახელმწიფო ბანკში ანუ მის კანტორებში; ბანკის განყოფილებათაც შეუძლიანთ მისცენ ვალი ამისთანა ვექსილებით, თუ გამგებლის გარდა, კანტროლერიც თანახმაა. უკეთუ ვალი გაიცა ბანკის კომიტეტის ნება-დაურთველად და წევრთა-ვაჭართა მონაწილეობის მიუღებლად, მაშინ ყველა ვალის გაცემის გარემოება უნდა ეუწყოს ამ კომიტეტს პირველსავე კრებაზედ. სახელმწიფო ბანკს, მის კანტორებს და განყოფილებათ შეუძლიანთ სესხი მისცენ იმ ვექსილების პატრონთ, რომლების ვადა ცხრა თთვეს აღემატება, ხოლო არა უმეტეს თორმეტ თთვისა, და გამოართვან იმაზე მეტი სარგებელი, რაც ცხრა თთვიან ვექსილებს ერთმევათ; 3) გაბათილებულ იქმნას 25 მილ. ქაღალდის ფული იმ 150 მილიონიდგან, რომელიც დროებით იყო გამოცემული 1891 და 1892 წ.

**რომი.** პალატის კრებაზედ თავმჯდომარემ წაიკითხა წერილი მარკიზ დი-რუდინისა, რომელიც თხოულობს გამოძიების დანიშვნას იმის გამოსარკვევად, რომ, თუმცა ტანლონგო ამტკიცებს, მაგრამ მე, რუდინს, არაოდეს რომის ბანკიდამ ფული არ მიმიღიაო. პალატამ გარდასწყვიტა, ჯერ ნუ დავნიშნავთ დღეს მაგ წერილის განსახილველადაო.

26 იანვარი

**პარიჟი.** გაზეთი „Justice“-ი, რომელსაც რომფორი აბრალებს, $3^1/_2$ მილიონი ფრანკი აიღო კორნელიუს გერცისაგანაო, ამბობს, რომ მზადა ვარ ჩვენი დავთრები გამომძიებელ კომისიას გადავცე განსახილველადაო.

**ბარცელონი.** როცა გათავდა კრება სტუდენტებისა, რომელნიც ჰქადაგებენ პროტესტანტების ნიშის აგების სასარგებლოდ მადრიდში, ანარქისტების ერთი ჯგუფი დედაკაცთა მოთავეობით, დაეცა თავს პოლიციას და დაუწყო თოფის სროლა. ორი პოლიციელი სუბუქად დაიჭრა. წესიერება აღადგინეს ჟანდარმებმა; შეპყრობილია 6 კაცი.

**რომი.** დააპატიმრეს რომის ბანკის კასირის ძმის-წული ლაცარონი.

### პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,83 | 7,86 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $156^1/_2$ | $157^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | $240^3/_4$ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | $227^1/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

#### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

# განცხადებანი


**მ. მ. მ უ რ ტ ა გ ი.**

ასწავლის მსურველთ ინგლისურს ენას. ადრესის დატოვება შეიძლება: ლაბორატორიის ქუჩა, სახლი წურინოვისა, № 5, ეზოში. აგრეთვე კისრულობს გუვერნიორობას, დღეში რამდენსამე საათით, კარგის ჯამაგირით. მურტაგი თავდებობს, რომ რიგიანად შეასწავლის ინგლისურ ენის გამოთქმას, სწორედ ისეთს, როგორიც ოქსფორდისა და კემრიჯის უნივერსიტეტებშია მიღებული. იცის აგრეთვე კარგად ფრანგული ენაც.

(4—3)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—9)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—36)

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და სხვაგანაც

ვალერიან გუნიას მიერ

შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**

**1893 წ.**

კალენდარი შეიცავს 500-მდე კარგად დასტამბულ გვერდს დიდის ფორმატისას. «საქართველოს კალენდარი» 1893 წლისათვის დასურათებულია მრავალის, როგორც უცხო ქვეყნების, აგრეთვე ქართველ მწერალ მოღვაწეთა სახსატებით.

ფასი უყდოდ **45** კაპ. ყდაში **55** კაპ.

უბის წიგნი 1893 წლისათვის

მშვენიერის ყდიან-ყარანდაშით და რეზინით **40** კაპ.

**სახალხო კალენდარი 1893 წ.**

მრავალის ცნობებით და საჭირო გამოსადეგ რჩევა-დარიგებით

ფასი ერთი შაური.

იქვე ისყიდება ეხლა-ხან გამოსული ახალი წიგნი,

ვალ. გუნიას მიერვე შედგენილი,

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სრული და ვრცელი სახელმძღვანელო სხვა-და-სხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად ყოველ გვარ შემთხვევისთვის. წიგნში 208 გვერდია სამ ნაწილად.

**ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური**

ყველა ვინც ნაღდ ფულად გამოიწერს ამ წიგნებს არა ნაკლებ 4 და 5-ის ცალისა, დაეთმობა 20%.

ვისაც საკამისიოდ ჰსურთ კალენდრების წაღება, შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის გამავრც. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ფრეილინის ქუჩა № 5,

(6—5)


**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ**

# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.